ხელშეკრულება № 08

საქმიანი გარიგებებისა და სირადი საქმეების მართვის პროგრამული პაკეტები

(CPV კოდი 48400000)

ქ. თბილისი 7 თებერვალი 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის სახით და მეორე მხრივ **შპს „ორისი"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") დირექტორის, დავით გოთოშიას სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საბუღალტრო პროგრამის, ერთვალუტიანი, ერთმომხმარებლიანი „ორის-ბუღალტერია" A01S, შესყიდვა;

1.2. „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს და „შემსყიდველის" მიერ შეკვეთილი პროგრამის დაყენება და ერთი წლის განმავლობაში უფასო განახლება.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ მხარეთა მიერ არ მოხდება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა.

2.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრება **888** ლარით.

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამის მიწოდება განხორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. მიწოდების ადგილია ყაზბეგის 12ბ, V სართული.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ორი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

4.4 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი "სალიცენზიო ხელშეკრულება", რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

5.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

6. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	შპს „ორისი"
საიდენტიფიკაციო კოდი 205349979	საიდენტიფიკაციო კოდი 206033754
ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას №7	ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. 12 ბ, V სართ.
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE 22	ბანკის კოდი BAGAGE22
	ანგარიში № GE88BG0000000120121601
----------	----------
თავმჯდომარე	დირექტორი
გიორგი ალიბეგაშვილი	დავით გოთოშია

სალიცენზიო ხელშეკრულება

სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს თქვენს (საბოლოო მომხმარებელს) და შპს ორისს შორის. პროგრამის დაყენებით კომპიუტერზე, მისი კოპირებით, ან მასთან მუშაობის დაწყებით, თქვენ იძლევით თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა. იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს, თქვენ არ გაქვთ იურიდიული უფლება ისარგებლოთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დააყენოთ პროგრამა კომპიუტერზე. პროგრამის შეძენიდან ორი კვირის განმვლობაში თქვენ გაქვთ უფლება დააბრუნოთ პროგრამის დაუზიანებელი სრული კომპლექტი, მასში შემავალი ნაბეჭდი და სხვა თანმხლები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაგიბრუნდებათ მისი სრული საფასური.

საავტორო უფლება

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში - ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.